AN ARCHIWUM AKT NOVICH DOCUMENT OF IULY 1ST 1922 CONCERNING PREPARATIONS FOR THE ANTI_SOVIET UPRISING IN THE CAUCASUS

პოლონეთის არქივის „Archiwum Akt Nowych“ ერთი დოკუმენტი (1 ივლისი 1922 წელი) კავკასიაში ანტისაბჭოთა აჯანყების მომზადების შესახებ

MIKHEIL BAKHTADZE
Doctor of History, Associate Professor of Tbilisi State University, Tbilisi, Georgia
OCRID ID: 0000-0002-3623-9924
+995 593 31 23 81, Mikheil.bakhtadze@tsu.ge

PAWEL LIBERA
Doctor of History, Instytut Historii im. Tadeusza Manteuffla
Polskiej Akademii Nauk.
Biuro Badań Historycznych Instytut Pamięci Narodowej, Poland
OCRID ID: 0000-0001-5541-0822
+48 500 261 781, pawel.libera@interia.pl

Abstract

By conquering Georgia in March 1921, Soviet Russia completed its occupation of the Caucasus. However, the peoples of the Caucasus, were obstinate and unyielding in their refusal to accept the loss of freedom and launched the anti-Soviet movement. The Georgians were among the most active rebels. Emigrants, politicians, and military men who remained in Georgia and fought for the restoration of the state independence realized that removing the Bolsheviks from the Caucasus would be difficult without foreign aid. Poland, more than any other European country, has shown a strong desire to see the Caucasus regain its freedom. It endeavored to rally all of its forces against Soviet Russia, the country's most hostile neighbor. As a result, it is no surprise that Georgians and Poles had a close relationship. Polish archives preserve numerous records dedicated to this union. In this paper, we will look at a document from July 1, 1922, that deals with the national liberation movement in the Caucasus. The paper is kept in the Fund of Colonel Leon Bobicki, the Polish State's Military Attaché in Constantinople, in the Archive of New History of Poland, Archiwum Akt Nowych.

Colonel Bobicki used to send the information about the South Caucasus to the Polish General Staff. Dr. Pawel Libera was the first to publish the document in Polish. The document has six typewritten pages in Polish. It is a report from the Polish military attaché stationed in Constantinople to the Polish Army General Staff in Warsaw. The report of General Bobicki can be conventionally divided into two parts: military and political. On the first pages of the document, the Polish military attaché evaluates the military power of the four Caucasian republics needed for the uprising. His assessments are quite detailed (the manpower and armament of each party and the like). In the end, Bobicki concludes that 10-million population of the Caucasus can engage 285,000 fighters, who will need assistance first and foremost

in terms of arms supply. In his assessment of the military situation, Colonel Bobicki evidently relies on the information provided by the Georgians: we can see a piece of information from his letter in Valiko Jugeli's report, and still another piece in General Zakariadze's report. Both Georgians delivered their reports on future uprising in Constantinople in June and September of 1922, respectively. As for the political section of Colonel Bobicki's report, it presents the analysis of the situation and anti-Bolshevik sentiments in the Caucasus. As for the political analysis of the situation in the region, we believe that it must be written by the Colonel himself, based on the information available to him. Leon Bobicki emphasizes anti-Russian and anti-Bolshevik sentiments in Georgia, Azerbaijan and the North Caucasus, as he describes the political situation in the Caucasus He emphasizes that the situation in Armenia is different, mostly primarily to the fear of Turkey, and that pro-Russian sentiments are strong. Many letters written in 1922-1924 regarding the organization of the pan-Caucasian anti-Soviet uprising emphasize Turkey's pivotal role. Colonel Bobicki says in the document we are looking at: "The feasibility of forming a single front, among other things, depends on whether an agreement can be reached with Turkey, what will be decisive, as will the issue of military supplies. Turkey's neutrality is half the battle won; the peoples of the Caucasus must win the other half, albeit with the indirect aid of countries that do not want a great and indivisible Russia restored." Turkey's neutrality, at the very least, provided a strong rear to the insurgents. At the same time, it would have allayed Armenian fears of possible Turkish aggression while also bolstering anti-Russian sentiment. "The military and economic interests require the Polish authorities to pursue an active policy in the Caucasus," writes Poland's military attaché at the end of the document, adding that "these issues require immediate action so that when great forces begin to act in the Caucasus, Poland will not find itself isolated.

Key words: Georgia, Caucasia, Poland, anti-Soviet uprising, Soviet Government, Bobitski, Djugheli, Zakariadze.

მიხეილ ბახტაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
OCRID ID: 0000-0002-3623-9924
+995 593 31 23 81, Mikheil.bakhtadze@tsu.ge

პაველ ლიბერა
ისტორიის დოქტორი, თადეუშ მანტოიფელის სახელობის პოლონეთის
მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი, ეროვნული მეხსიერების
ინსტიტუტის ისტორიული კვლევების ბიურო, პოლონეთი
OCRID ID: 0000-0001-5541-0822
+48 500 261 781, pawel.libera@interia.pl

აბსტრაქტი

1921 წლის მარტში საქართველოს ოკუპაციით საბჭოთა რუსეთმა დაასრულა კავკასიის დაპყრობა, თუმცა კავკასიელი ხალხები ასე ადვილად არ შეეგუენ თავისუფლების დაკარგვას და კავკასიაში ანტი-საბჭოთა მოძრაობა დაიწყო. ყველაზე მეტად ამ მხრივ ქართველები აქტიურობდნენ. როგორც ემიგრაციაში მყოფი, ასევე საქართველოში დარჩენილი და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლი პოლიტიკოსები თუ სამხედროები ხვდებოდნენ, რომ საგარეო დახმარების გარეშე ბოლშევიკების კავკასიიდან განდევნა რთული იქნებოდა. ევროპის სახელმწიფოებს შორის კავკასიის დამოუკიდებლობის აღდგენით ყველაზე მეტად პოლონეთი იყო დაინტერესებული. ბუნებრივია პოლონეთი თავისი კონკრეტული მიზნებიდან გამოდიოდა, რაც საბჭოთა რუსეთის, როგორც პოლონეთისთვის ყველაზე საშიში მეზობლის, წინააღმდეგ ყველა ძლის გაერთიანებას ცდილობდა. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს რომ აქტიური კავშირი არსებობდა ქართველებსა და პოლონელებს შორის. ამ კავშირის ამსახველი დოკუმენტები მრავლადაა პოლონეთის არქივებში. ამჯერად გვინდა განვიხილოთ ერთი დოკუმენტი, რომელიც კავკასიაში არსებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობას ეხება და თარიღდება 1922 წლის 1 ივლისით. დოკუმენტი ინახება პოლონეთის ახალი ისტორიის არქივში, Archiwum Akt Nowych, კონსტანტინოპოლში მოღვაწე პოლონეთის სახელმწიფოს სამხედრო ატაშეს პოლკოვნიკ ლეონ ბობიცკის ფონდში. პოლკოვნიკი ბობიცკი სამხრეთ კავკასიის შესახებ არსებულ ინფორმაციებს პოლონეთის გენერალურ შტაბში აგზავნიდა. დოკუმენტი პირველად პოლონურ ენაზე გამოქვეყნა დოქტორმა პაველ ლიბერამ. დოკუმენტი საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილ ექვს გვერდს მოიცავს და დაწერილია პოლონურ ენაზე. დოკუმენტი წარმოადგენს კონსტანტინოპოლში მყოფი პოლონეთის სამხედრო ატაშეს მოხსენებით ბარათს, გაგზავნილს ვარშავაში პოლონეთის არმიის გენერალურ შტაბში. პოლკოვნიკ ბობიცკის მოხსენება პირობითად შეგვიძლია გავყოთ ორ ნაწილად: სამხედრო და პოლიტიკური. პოლონეთის სამხედრო ატაშე დოკუმენტის დასაწყისში მიმოიხილავს კავკასიის ოთხი რესპუბლიკის სამხედრო შესაძლებლობებს აჯანყების შემთხვევაში. მიმოიხილავს საკმაოდ დაწვრილებით (ვის რამდენი მებრძოლის გამოყვანა

შეუძლია, რა შეიარაღება აქვთ და ა.შ.). საბოლოოდ ბობიცკი ასკვნის, რომ კავკასიის 10 მილიონიან მოსახლეობას შეუძლია გამოიყვანოს 285 ათასი მებრძოლი და მათ პირველ რიგში დაჭირდებათ დახმარება შეიარაღების მიწოდების მხრივ. სამხედრო ვითარების ანალიზისას პოლკოვნიკი ბობიცკი აშკარად ეყრდნობა ქართველების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. კერძოდ, წერილში გამოყენებული ინფორმაციის ნაწილი დასტურდება ვალიკო ჯუღელის მოხსენებაში და ნაწილი კი - გენერალ ზაქარიაძის. ორივე მათგანმა მოხსენება მომავალი აჯანყების შესახებ წაიკითხა კონსტანტინოპოლში, შესაბამისად 1922 წლის ივნისში და სექტემბერში. პოლკოვნიკ ბობიცკის მოხსენების პოლიტიკურ ნაწილში კი ვგულისხმობთ კავკასიაში არსებული ვითარებისა და ანტიბოლშევიკური განწყობების ანალიზს. რეგიონში არსებული ვითარების პოლიტიკური ანალიზი კი ჩვენი აზრით თავად პოლკოვნიკის დაწერილი უნდა იყოს მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე. კავკასიაში არსებული პოლიტიკური ვითარების განხილვისას ლეონ ბობიცკი საგანგებოდ აღნიშნავს ანტირუსულ და ანტიბოლშევიკურ განწყობებს საქართველოში, აზერბაიჯანში და ჩრდილოეთ კავკასიაში. ხაზგასმულია, რომ სხვა ვითარებაა სომხეთში. თურქეთისადმი შიშის გამო იქ განსხვავებული ვითარება არსებობდა და რუსოფილური განწყობებიც საკმაოდ ძლიერი იყო. 1922-1924 წლებში დაწერილ ბევრ წერილში, რომელიც ეხება საერთოკავკასიური ანტისაბჭოთა აჯანყების მოწყობას, საუბარია თურქეთის პოზიციის გადამწყვეტ მნიშვნელობაზე. ჩვენს მიერ განხილულ დოკუმენტშიც პოლკოვნიკი ბობიცკი აღნიშნავს, რომ „ერთიანი ფრონტის შექმნის შესაძლებლობა დამოკიდებულია ასევე თურქეთთან შეთანხმებაზე, რაც სამხედრო აღჭურვილობის საკითხთან ერთად გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. თურქეთის ნეიტრალიტეტი განსაზღვრავს წარმატების ნახევარს, ხოლო დანარჩენს გააკეთებენ კავკასიის ხალხები, თუნდაც იმ სახელმწიფოების არაპირდაპირი დახმარებით, რომლებსაც არ სურთ დიდი და განუყოფელი რუსეთის აღდგენა“. თურქეთის მინიმუმ ნეიტრალიტეტი უზრუნველყოფდა აჯანყებულთათვის მტკიცე ზურგს. ამავე დროს ეს გააქარწყლებდა სომხეთში არსებულ შიშს თურქეთის მხრიდან შესაძლო აგრესიაზე და ხელს შეუწყობდა ანტირუსული განწყობის ზრდას. დოკუმენტის ბოლოში პოლონეთის სამხედრო ატაშე აღნიშნავს, რომ სამხედრო და ეკონომიკური ინტერესები მოითხოვენ პოლონეთის ხელისუფლებისგან კავკასიაში აქტიური პოლიტიკის გატარებას და ამატებს, „ამ საკითხებს დაუყოვნებლივი მოქმედება სჭირდება, რადგან როდესაც შესაძლებელი გახდება კავკასიაში დიდი ძალებისთვის მუშაობა, პოლონეთი არ აღმოჩნდეს იზოლირებული“.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, კავკასია, პოლონეთი, ანტისაბჭოთა აჯანყება, საბჭოთა ხელისუფლება, ბობიცკი, ჯუღელი, ზაქარიაძე.

შესავალი

პოლონეთის ახალი ისტორიის არქივში, Archiwum Akt Nowych, მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტებია კონსტანტინოპოლში მოღვაწე სამ-

ხედრო ატაშეს პოლკოვნიკ ლეონ ბობიცკის ფონდში. აღსანიშნავია და გასათვალისწინებელი შემდეგი მომენტი, პოლონეთის სახელმწიფოს „სადაზვერვო აპარატის სტრუქტურაში მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენდნენ სამხედრო ატაშეები, რომლებსაც გენერალური შტაბისთვის უნდა მოეწოდებინათ სამხედრო-პოლიტიკური ინფორმაცია იმ სახელმწიფოს შესახებ, რომელშიც იყვნენ მივლინებული ... რეალურად მათი ხელმძღვანელი, მე-2 განყოფილების უფროსის მეშვეობით გენერალური შტაბის უფროსი ... პოლონეთის რესპუბლიკის სამხედრო ატაშეები ცალკეულ ევროპულ სახელმწიფოებში, გამომდინარე მათი ადგილმდებარეობიდან, ასევე ასრულებდნენ სხვა სახის დავალებებსაც“ (Peplonski, 2010: 66-68). თურქეთში, ჯერ კონსტანტინოპოლში ხოლო შემდეგ ანკარაში მოღვაწე სამხედრო ატაშეს „დავალებული ქონდა თვალყურის დევნება სსრკ-ს სამხრეთ ტერიტორიებზე, კავკასიის მნიშვნელობის გათვალისწინებით. ამის გარდა, პოლონელი სამხერო ატაშე თურქეთის დედაქალაქში თვალს ადევნებდა „საბჭოების კამპანიას ახლო აღმოსავლეთში“ და ასევე, მოქმედებდა საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის განმათავისუფლებელი მოძრაობების საკოორდინაციოდ“. უფრო მეტიც, სამხედრო ატაშეს კონსტანტინოპოლში პირდაპირ ევალებოდა სადაზვერვო საქმიანობის ორგანიზება სამხრეთ კავკასიაში (Peplonski, 2010: 99). ამიტომ ბუნებრივია რომ თურქეთში მყოფი სამხედრო ატაშე მეტად კარგად იყო ინფორმირებული საქართველოში და ზოგადად სამხრეთ კავკასიაში არსებული ვითარების შესახებ. საინტერესოა, რომ სამხედრო ატაშე კონსტანტინოპოლში უფრო მეტად იყო ინფორმირებული კავკასიაში მიმდინარე მოვლების შესახებ, ვიდრე პოლონეთის სამხედრო ატაშე მოსკოვში. საბჭოთა კავშირში შემავალ კავკასიას, ისევე როგორ სამხრეთ უკრაინასა და თურქესტანს სწორედ თურქეთში მყოფი სამხედრო ატაშე კურირებდა (Majzner , 2014: 343.

მეთოდი

სტატიაში განხილული ერთი კონკრეტული დოკუმენტი, რომელიც საინტერესო ცნობებს შეიცავს საქართველოში ანტისაბჭოთა მოძრაობის შესახებ. კვლევა ეფუძნება შინაარსობრივი ანალიზისა და ისტორიულ-შედარებით მეთოდას, ასევე ემპირიული მასალის კრიტიკულ გააზრებას და განზოგადებას.

შედეგები

1. დოკუმენტის ანალიზი აჩვენებს, რომ პოლონეთის სამხედრო ატაშე კონსტანტინოპოლში საქართველოს შესახებ ინფორმაციას იღებდა როგორც ქართველებისგან (ამ კონკრეტულ შემთხვევაში: ჯუღელი, ზაქარიაძე), ასევე სხვა წყაროებიდანაც.

2. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ პოლონეთის სამხედრო ატაშე მხოლოდ მშრალ ინფორმაციას კი არ აგზავნიდა პოლონეთში, არამედ სიტუაციის საკუთარ ანალიზსაც და დასკვნებსაც.

3. დოკუმენტი ადასტურებს, რომ პოლონეთის სამხედრო ატაშე კარგად

იყო ინფორმირებული საქართველოში არსებული ანტისაბჭოთა მოძრაობის შესახებ.

4. დოკუმენტი ადასტურებს პოლონეთის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობის ინტერესს საქართველოსა და ქართველების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი.

5. დოკუმენტიდან ჩანს, რომ კონსტანტინოპოლში მყოფ ქართველ სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწეებს აქტიური კონტაქტი ჰქონდათ პოლონეთის სამხედრო ატაშესთან.

6. დოკუმენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ევროპის სახელმწიფოებიდან პოლონეთი იყო ერთ-ერთი, რომლის დახმარების იმედიც ქონდათ ემიგრაციაში მყოფ ქართველ პოლიტიკოსებსა თუ სამხედროებს.

მსჯელობა

პოლკოვნიკი ბობიცკი სამხრეთ კავკასიის შესახებ არსებულ ინფორმაციებს პოლონეთის გენერალურ შტაბში აგზავნიდა. პოლონეთის სამხედრო ატაშეს მიერ ინფორმაციებს მიღების ერთ-ერთი წყაროს კონსტანტინოპოლში ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსები და სამხედროები წარმოადგენდნენ.

ამჯერად გვინდა განვიხილოთ ერთი დოკუმენტი, რომელიც კავკასიაში არსებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობას ეხება და თარიღდება 1922 წლის 1 ივლისით.

ეს დოკუმენტი პირველად პოლონურ ენაზე გამოქვეყნა დოქტორმა პაველ ლიბერამ (Libera, 2013: 84-87). დოკუმენტი ჩვენც ვნახეთ ვარშავაში სამეცნიერო მივლინებისას არქივში - Archiwum Akt Nowych. Warszawa. 1191 A II/33. 198-203. დოკუმენტი საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილ ექვს გვერდს მოიცავს და ცხადია დაწერილია პოლონურ ენაზე.

დოკუმენტში პოლკოვნიკი ბობიცკი აღნიშნავს, რომ ინფორმაცია მიღებული აქვს გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძისგან. ჩვენ გვაქვს საშუალება პოლკოვნიკ ბობიცკის წერილში არსებული ინფორმაცია შევადაროთ ორ ძალიან საინტერესო დოკუმენტს. ესენია: 1922 წლის 10 ივნისს კონსტანტონოპოლში ვალიკო ჯუღელის მიერ წაკითხულ საიდუმლო მოხსენებას და იქვე უკვე 1922 წლის 7 სექტემბერს გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის მიერ წაკითხულ მოხსენებას. ქვემოთ მოვიტანთ ჩვენთვის საინტერესო ამონარიდებს ჯუღელისა და ზაქარიაძის მოხსენებებიდან.

ამონარიდები ვალიკო ჯუღელის საიდუმლო მოხსენებიდან, რომელიც მან სტამბულში წაიკითხა 1922 წლის 10 ივნისს.

„ … თვით ბოლშევიკების საუწყებო მოხსენებიდან ჩანს, რომ 1922 წლის პირველი მარტისთვის „ოკაში“ (კავკასიის საგანგებო არმია), რომელსაც კავკასიის ოთხივე რესპუბლიკის ტერიტორია უპყრია, ჯავშნიანი მატარებლების და სხვა წვრილი „კომანდების“ გამოკლებით და საგანგებო ნაწილების დართვით ითვლებოდა:

1) „კომსასტავი“ – 3300, 2) წითელი არმიელები - 36630, 3) ტყვიის მფრქვეველები - 534, 4) ზარბაზნები - 104 (ბათუმის საციხოვნო არტილერიის გამოკლებით). აქედან მარტო საქართველოში იყო: 1) „კომსასტავი“ – 2100, 2) წითელი არმიელები - 20339, 3) ტყვიის მფრქვეველი - 274, 4) ზარბაზნები - 64 ...

თვით საქართველოში რუსული წითელი ჯარები ასე არიან განაწილებულნი: 1) თბილისი - 9000; 2) ბათუმი - 4000; 3) ქუთაისი - 3000; 4) ლორე - 3000; 5) სხვა ადგილები - 3000. კავკასიის დანარჩენ სამ რესპუბლიკათა შორის „ოკას“ ნაწილები ასე არიან განაწილებული: 1) აზერბაიჯანი - 8000, 2) დაღესტანი და ნაწილობრივ თერგის ოლქი - 6000; 3) სომხეთი - 4000 ... ანტიბოლშევიკურ მებრძოლ საქართველოს ეხლახან თოფქვეშ ყავს შემდეგი სრულიად საიმედო შეიარაღებული ძალები: 1) ქართული წითელი ლაშქარი - 5000; 2) მილიციიდან და სხვა ცალკე რაზმებიდან - 3000; 3) საკუთარი ფარული სამხედრო ორგანიზაცია - 14000: სულ - 22000 ...

დანარჩენ სამ რესპუბლიკათა პირველი რიგის ძალები, რომლებსაც აჯანყებაში თავიდანვე შეუძლიათ მონაწილეობის მიღება, დაახლოებით ასეთია:

აზერბაიჯანი: აზერბაიჯანის წითელი ლაშქარი და სხვა ადგილობრივი რაზმები - 5000; 2) საკუთარი ძალები, რომლებიც პირველ დაძახებისთანავე გამოვლენ - 8000. სულ - 13000.

სომხეთი: 1) სომხეთის წითელი ლაშქარი და სხვა რაზმებიდან - 6000; 2) ფარული სამხედრო ორგანიზაცია - 10000. სულ - 16000.

მთა: 1) საკუთარი პირველი დაკვრის ძალები - 4000. ...

ჩვენ თავიდანვე უნდა ვიცოდეთ, რომ ამ საყოველთაო განმათავისუფლებელი აჯანყების მოწყობა, ინიციატივა და ხელმძღვანელობა უმთავრესად საქართველომ უნდა იკისროს, ვინაიდან მთელს კავკასიაში მხოლოდ საქართველოს აქვს ამის ფიზიკური და მორალური შესაძლებლობა...

ვერავითარ აჯანყებას ვერ დავიწყებთ, თუ ჩვენ წინასწარ ოსმალეთიდან ჩვენი ზურგი არ უზრუნველვყავით, თუ გინდა ოსმალეთი ნეიტრალიტეტის სახით ...

ამასთანავე ჩვენ ვიცით, რომ საფრანგეთი და მცირე ანტანტა პოლონეთიდან ბოლშევიკური და მილიტარისტული რუსეთის წინააღმდეგია. ეს წინააღმდეგობა სრულიად არ არის შემთხვევითი, რადგანაც იგი დიდ და ხანგრძლივ ინტერესებზეა დამყარებული. დღეს საფრანგეთი ხმელეთის უძლიერესი სახელმწიფოა. ეს მისი ძლიერება თავის ნაწილში ეყრდნობა მცირე ანტანტას და პოლონეთს, რომლებიც თვით აღმოცენდნენ სამი იმპერიის ნანგრევებზე. რუსეთ-გერმანიის დაახლოება და მათი გაძლიერება ნიშნავს მცირე ანტანტის და პოლონეთის დასუსტებას. ამნაირად, მსოფლიო ომის ევროპამ შექმნა სრულიად ახალი და მეტად ძლიერი ინტერესები, რომლებითაც თანამედროვე რუსეთის წინააღმდეგია და რომელიც დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი კავკასიის მხარეზეა ...

ჩვენ იმ დრომდე ვერ აღვმართავთ აჯანყების დროშას, სანამ ზოგიერთ სრულიად რეალურ დაპირებას არ მივიღებთ და სანამ ფაქტიურად უზრუნველყოფილი არ ვიქნებით ოსმალეთიდან. ეს დაპირებები უნდა გამოიხატებოდეს მხოლოდ თავის დროზე იარაღის მოწოდებაში და სესხის მოცემაში ... ჩვენ უკვე მივიღეთ სერიოზული დაპირება იარაღით და ფულით დახმარებისა ... მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ ფინანსთა მინისტრის თანხლებით ამ მიზნით უნდა ინახულოს საფრანგეთის, ბელგიის, ჩეხოსლოვაკიის და პოლონეთის მთავრობის მეთაურები. დამოუკიდებელი

საქართველო და კავკასია შედის ამ სახელმწიფოთა ინტერესებში და ამიტომ ისინი ჩვენ მოგვცემენ სესხს“ (ვადაჭკორია, 2018:424-435).

ამონარიდები ჰანიბალის (ალექსანდრე ზაქარიაძე) საიდუმლო მოხსენებიდან, რომელიც წაიკითხა სტამბულში 1922 წლის 7 სექტემბერს.

„თვით აჯანყება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ერთის მხრივ უზრუნველყოფილი იქნება ოსმალეთის ნეიტრალიტეტი და მეორეთი განთავისუფლების შემდეგ ევროპის დაუყოვნებლივი დახმარების სრული იმედი გვექნება იარაღით და ფულით ... თანახმად ივნისის (1922 წელი) „სვოდკისა“ მთელ „ოკაში“ (დაღესტანი არ შედის) ირიცხება „ჩონით“ და სპეციალური ნაწილებიანად 33 ათასი მჭამელი. ამათში ხიშტი იქნება არა უმეტეს 22 ათასისა ... ამ ძალის წინააღმდეგ ჩვენ შეგვიძლია პირველი საჭიროებისთანავე გამოვიყვანოთ შემდეგი ძალები: 1) ქართული წითელი ლაშქარი - 3 ათასი კაცი; 2) ქართული მილიცია - 3-4 ათასი; საიდუმლო სამხედრო ორგანიზაცია - 18-20 ათასი. სულ 24-27 ათასი. რაც შეეხება ქართულ ჯარს, იგი სრულიად საიმედოა და მიუხედავად მრავალი ოფიცრის დატუსაღებისა, ამ ჯარის 90% ანტიბოლშევიკურია. დღეს ქართულ ჯარში 5000 მჭამელი ითვლება და აქედან 3000 ათასი მეამბოხის გამოყვანა შეიძლება. ჩვენი ცნობით მთელი მილიციის 60-85% ანტიბოლშევიკურია. მთელ საქართველოში ეს შეადგენს არა ნაკლებ 3-4 ათას კაცს ... მომავალი აჯანყების უმთავრესი და გადამწყვეტი ძალა იქნება ჩვენი საიდუმლო ორგანიზაცია, რომელიც უმთავრესად ძველი გვარდიის ორგანიზაციას ეყრდნობა და რომელიც ახლახან ყველა საიმედო ძალებს თავს უყრის. ეს ორგანიზაციები ფარავენ მთელ საქართველოს და უკვე დღეს ყავთ მათ მოწესრიგებული და აღნუსხული 20 ათასამდე კაცი. აქედან 16 ათასამდე უკვე შეიარაღებულია ... უფრო ცუდად არის ამ მხრივ საქმე მოწყობილი აზერბაიჯანში, მთაში და სომხეთში. ამ სამ რესპუბლიკათა შორის, რასაკვირველია სამხედრო მხრით ყველაზე უფრო დაწინაურებულია სომხეთი, რადგანაც მასზე ვრცელდებოდა საყოველთაო სამხედრო ბეგარა ... და დაშნაკცუთიუნს აქვს ხანგრძლივი კონსპირაციული სამხედრო ტრადიცია, ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის სრულიად უდავოა, რომ აჯანყების დროს სომხეთს შეუძლია 15 ათასამდე შეიარაღებული მეამბოხის გამოყვანა ... მაგრამ რადგანაც სომხეთს ძლიერ ეშინია ოსმალეთის, შესაძლებელია მან აჯანყების პირველ აქტში ვერ მიიღოს მონაწილეობა და მაინც ნეიტრალიტეტი დაიცვას ... აზერბაიჯანს არ ქონდა საყოველთაოსამხედრობეგარადამსარცსამხედროფარულიორგანიზაციების დიდი ტრადიცია აქვს ... აზერბაიჯანს აჯანყების პირველივე დღესვე შეუძლია ფეხზე დააყენოს არა ნაკლებ 13-14 ათასი მებრძოლისა ... მარტო დაღესტანს შეუძლია პირველი დაძახებისთანავე წამოაყენოს არა ნაკლებ 3 ათასი მებრძოლისა და მთელ მთას კი დაახლოებით 5 ათასამდე ... უკანასკნელი მსოფლიო ომის დროს, რუსეთის ჯარში ირიცხებოდა 6 ათასამდე ქართველი ოფიცერი. ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენ შევიძინეთ 200-300 ახალი ქართველი ოფიცერი, დღეს მთელ საქართველოში მოიპოვება არა ნაკლებ 3000 საიმედო და მხნე ოფიცერი ... ოთხ-ხუთ დღეში აჯანყება საქართველოს ტერიტორიაზე სრული გამარჯვებით დამთავრდება და აჯანყებულთა ხელში იქნება მტრის მთელი იარაღი და საწყობები. განთავისუფლებული

საქართველოს ხელში გადავა დაახლოებით 50-60 ათასამდე თოფი, 90-100 ზარბაზნამდე, 400-500 ტყვიამფრქვევამდე, 10-12 ჯავშნიან ავტომობილამდე და 4-5 ჯავშნიან მატარებლამდე. ეს იქნება ის იარაღი, რომლის საშუალებითაც უნდა შეიარაღდეს განთავისუფლებული საქართველო და რომლითაც მან უნდა შეძლოს 2-3 თვის განმავლობაში თავდაცვის წარმოება, ვინაიდან ამ ხნის განმავლობაში ჩვენ არ უნდა გვქონდეს დიდი იმედი უცხოეთიდან იარაღის საკმაო შემოზიდვისა ... ჩვენ უნდა გავიგოთ, რომ ავანსად არც იარაღს და არც ფულს არავინ მოგვცემს. ამისთვის საჭიროა ფაქტიური ბატონობა საკუთარ ტერიტორიაზე და როცა კავკასიის დიდი ნაწილი ჩვენს განკარგულებაში იქნება, როცა ბაქოს, გროზნოს, ჭიათურის, ტყვარჩელისა და მაიკოპის სახელით ილაპარაკებს არა კრასინი, არამედ გათავისუფლებული კავკასია, ჩვენც ადვილად ვიშოვნით ფულს და ფულის საშუალებით საჭირო იარაღს და ყოველივე მოწყობილობას ... აჯანყებული კავკასიის საწინააღმდეგო ჯარის დასაგროვებლად ბოლშევიკებს უკანასკნელი ორი თვე დასჭირდება. ეს იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვს თვით რუსეთში არ გაურთულდა საქმე. ამ ორი თვის განმავლობაში კავკასიას სრულიად ეყოფა თავდასაცავად 100 ათასიანი ჯარი. ხოლო ორი თვის შემდეგ, მაშინ როცა მოსკოვს 200 ათასიანი ჯარი ეყოლება დამზადებული ჩვენს საწინააღმდეგოდ, ჩვენც გვეყოლება დარაზმული და მოწესრიგებული 200 ათასიანი ლაშქარი. ასე რომ მოსკოვს დასჭირდება კიდევ დამატებით ჯარების მოზიდვა და ამაზე დრო წავა, რომლითაც ჩვენ ხელახლა ვისარგებლებთ ჩვენი ძალების გასაძლიერებლად. ამნაირად მოსკოვს აჯანყებული და გათავისუფლებული კავკასიის ხელახლა დასაპყრობად დაჭირდება 300-350 ათასიანი ლაშქრის დაგროვება ... მე განზრახ ვამცირებდი ჩვენ ძალებს, რათა ზედმეტი იმედები არ დამებადა“ (ვადაჭკორია, 2018: 435-450).

შოთა ვადაჭკორია, რომელმაც პირველად გამოქვეყნა ეს მოხსენებები წერს, „ორივე დოკუმენტი ხელის მანქანაზე დაბეჭდილი 42 გვერდს შეიცავს და გრიფი - „სრულიად საიდუმლო“ ადევს ... ამ დოკუმენტების შექმნის შუალედი 2 თვეა, მაგრამ ის საკითხები, რომლებიც სამხედრო კუთხითაა განხილული და მათში მოტანილი ძირითადი დებულებები ერთმანეთს ავსებს. აქედან გამომიდინარე, პირველი მოხსენებისგან მეორის ხელოვნურად გამოყოფა და ცალ-ცალკე განხილვა ყოვლად დაუშვებელია“ (ვადაჭკორია, 2016; 102). შ. ვადაჭკორია წერს, რომ დოკუმენტების შექმნას შორის ორთვიანი შუალედია. ანუ თვლის რომ ავტორები მათ ცალ-ცალკე ქმნიდნენ. სამწუხაროდ შ. ვადაჭკორია არ წერს თუ რა ენაზეა დაწერილი მოხსენებები, ქართულზე თუ რუსულზე. აქ საინტერესოა და აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ლეონ ბობიცკის ინფორმაცია გენერალ ზაქარიაძისგან მიღებული აქვს უკვე 1 ივლისამდე ანუ ორი თვით ადრე, ვიდრე გენერალი მოხსენებას წაიკითხავდა კონსტანტინოპოლში.

პოლონეთის სამხედრო ატაშე დოკუმენტის დასაწყისში მიმოიხილავს კავკასიის ოთხი რესპუბლიკის სამხედრო შესაძლებლობებს აჯანყების შემთხვევაში. ამ შემთხვევაში ის აშკარად ეყრდნობა ქართველების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. ლეონ ბობიცკის წერილში არსებული ინფორ-მაციის ნაწილი გვხვდება ჯუღელის მოხსენებაში, ნაწილიც - ზაქარიაძის.

პოლკოვნიკი ბობიცკი წერს, რომ საქართველოს საიდუმლო სამხედრო ორგანიზაცია უკვე მზად ყავს 15-16 ათასამდე შეიარაღებულ პირი. ჯუღელის მოხსენებაში დასახელებულია 14 ათასი, ხოლო ზაქარიაძის მოხსენებაში - 18-20 ათასი.

ბობიცკის ინფორმაციით, საქართველოს წითელი არმიაში შექმნილი საიდუმლო ცენტრები. ქართული წითელი არმია 5-6 ათასი ადამიანი ითვლის და ასევე გააჩნია არტილერია და ჯავშანმანქანები. წერილში არაა დაზუსტებული ქართული წითელი არმიის მებრძოლთაგან რამდენი დაუჭერს მხარს აჯანყებას. ვალიკო ჯუღელის მიხედვით ქართული წითელი ლაშქრის 5 ათასი მებრძოლი საიმედო ძალაა. განსხვავებული რიცხვი გვხვდება გენერალ ზაქარიაძის მოხსენებაში - 3 ათასი კაცი. როგორც ჩანს გენერალი არ ენდობოდა ქართული წითელი ლაშქრის სრულ შემადგენლობას.

ლეონ ბობიცკის მიხედვით, წითელი მილიციის 60-დან 85% -მდე ანტიბოლშევიკურად არის განწყობილი. ჯუღელი წერს, რომ მილიციიდან და სხვა ცალკე რაზმებიდან 3000 მებრძოლის გამოყვანა შეიძლება. ზაქარიაძე კი აღნიშნავს, რომ მისი ცნობით მთელი მილიციის 60-85% ანტიბოლშევიკურია.

პოლონეთის სამხედრო ატაშე წერს, რომ აჯანყების დასაწყისში 22-25 ათასი ადამიანი მზად იქნება. გენერალ ზაქარიაძის ინფორმაციით საქართველოში მზადყოფნაში 24-27 ათასი კაცი.

როგორც ვხედავთ პოლკოვნიკი ბობიცკი ამ ნაწილში მთლიანად ეყრდნობა ქართველთა ინფორმაციას, მცირე განსხვავებები მხედველობაში არაა მისაღები. საინტერესო ისაა, რომ წერილში გამოყენებული ინფორმაციის ნაწილი დასტურდება ჯუღელის მოხსენებაში და ნაწილი კი ზაქარიაძის. სავარაუდოდ ინფორმაცია ანტიბოლშევიკური ძალების შეახებ ჯუღელსაც და ზაქარიაძესაც ერთიდაიმავე წყაროდან აქვთ. ნაკლებ სავარაუდოა, რომ მათ სხვადასხვა ინფორმატორები ყოლოდათ. ინფორმაციას ალბათ საქართველოში მოქმედი საიდუმლო ორგანიზაციებისგან: დამოუკიდებლობის კომიტეტისა[1] და სამხედრო ცენტრისგან[2] იღებდნენ ან ცალ-

1 პოლიტიკურმა პარტიებმა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (მენშევიკები), საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტია, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტია და საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას ჩამოშორებული ჯგუფი „სხიველები“ (დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები) 1922 წლის აპრილში შექმნეს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ `დამკომს), იგივე „პარიტეტულ კომიტეტი“ რომელსაც უნდა ეხელმძღვანელა აჯანყების მომზადებისათვის.

2 სამხედრო ცენტრი შეიქმნა 1922 წლის მარტში. მასში შედიოდნენ ცნობილი ქართველი სამხედროები. გენერლები: ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, კოტე აფხაზი, ვარდენ წულუკიძე. პოლკოვნიკები: როსტომ მუსხელიშვილი, ივანე ნარიკელაძე და სხვა. სამხედრო ცენტრი უშუალოდ უნდა აჯანყების მომზადების სამხედრო საკითხებით იყო დაკავებული. 1923 წლის მარტში საბჭოთა სპეცსამსახურებმა სამხედრო ცენტრის წევრები დააპატიმრეს, ხოლო იმავე წლის 21 მაისს დახვრიტეს.

კეული პირებისგანაც. საინტერესოა, ჯუღელი და ზაქარიაძე საკუთარ გეგმებს ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად ადგენდნენ, თუ გარკვეულ საკითხებს ათანხმებდნენ ან მინიმუმ ერთად მსჯელობდნენ მათზე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთულია. ალბათ უფრო არა. ერთი რამ ცხადია, ქართულმა მხარემ მის ხელთ არსებული ინფორმაცია გადასცა პოლკოვნიკ ბობიცკის და სავარაუდოდ გადასცა მიღებისთანავე. ბობიცკის მიერ წერილის გაგზავნა მთელი ორი თვით უსწრებს ზაქარიაძის მიერ მოხსენების წაკითხვას. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს თუ რა მჭიდრო და აქტიური კონტაქტი ქონდათ კონსტანტინოპოლში მყოფ ქართველ მოღვაწეებს პოლონეთის რესპუბლიკის წარმომადგენლებთან.

კავკასიის სხვა რესპუბლიკებზე საუბრისას ლეონ ბობიცკი წერს, რომ პირველ ეტაპზე აზერბაიჯანი შეძლებს გამოიყვანოს 12 ათას შეიარაღებულ ადამიანი, სომხეთის რესპუბლიკამ - 15 ათასი და მთის რესპუბლიკამ - ასევე 15 ათასი. სულ კი კავკასიის ოთხ რესპუბლიკას შეუძლია გამოიყვანოს 50 000-მდე შეიარაღებული მებრძოლი. ვნახოთ რა ინფორმაციაა ამასთან დაკავშირებით ჯუღელისა და ზაქარიაძის მოხსენებებში. ჯუღელის მიხედვით: აზერბაიჯანი - 13 ათასი, სომხეთი - 16 ათასი, მთის რესპუბლიკა - 4 ათასი. ზაქარიაძის მიხედვით: აზერბაიჯანი - 13-14 ათასი, სომხეთი - 15 ათასი, მთის რესპუბლიკა 5 ათასი. სერიოზული განსხვავებაა მხოლოდ მთის რესპუბლიკასთან დაკავშირებით. ქართველი მომხსენებლები ასახელებენ 4-5 ათას კაცს, ბობიცკი კი 15 ათასს. საიდან აიღო ეს ინფორმაცია პოლონელმა დიპლომატმა ძნელი სათქმელია.

რაც შეეხება კავკასიის ცალკეული არმიის (Отделная Кавказская Армия - ОКА) პირად შემადგენლობასა და შეიარაღებას, ბობიცკის მონაცემები იდენტურია ჯუღელის მონაცემებისა, რომელიც ოფიციალური საბჭოთა დოკუმენტებიდან უნდა იყოს აღებული.

პოლკოვნიკ ბობიცკის მოხსენება პირობითად შეგვიძლია გავყოთ ორ ნაწილად: სამხედრო და პოლიტიკური. პოლიტიკურში ვგულისხმობთ კავკასიაში არსებული ვითარებისა და ანტიბოლშევიკური განწყობების ანალიზს. სამხედრო ნაწილში ინფორმაცია ძირითადად მიღებული ქართველებისგან. რეგიონში არსებული ვითარების პოლიტიკური ანალიზი კი ჩვენი აზრით თავად პოლკოვნიკის დაწერილი უნდა იყოს მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე.

საერთო კავკასიური აჯანყების გეგმას თუ ცოტა კრიტიკულად შევხედავთ უნდა ვაღიაროთ, რომ ცოტა ზედაპირულია და იდეალისტური. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ დიდი ანტიბოლშევიკური აჯანყების მოწყობა მოითხოვდა საიდუმლო ორგანიზიციების საათივით აწყობილ მუშაობას მთელი კავკასიის მასშტაბით და ძალიან კარგ ორგანიზებას, რაც საბჭოთა სპეცსამსახურების მუშაობის პირობებში ძალიან რთული იყო. არა თუ საერთო კავკასიური მასშტაბით, არამედ საქართველოს მასშტაბითაც კი ჭირდა მსგავსი რამის გაკეთება. საბჭოთა სპეცსამსახურები ყველა შესაძლო მოწინააღმდეგეს თვალყურს ადევნებდნენ. ქაღალდზე შესაძლოა ყველაფერი კარგად გამოიყურებოდა (აჯანყებულთა რაოდენობა, წითელი არმიის შენაერთების დამარცხება-განიარაღება და ა. შ.), მაგრამ რეალობა

სხვა იყო. გეგმას ქონდა სუსტი წერტილები. მაგ. საერთოდ არ არის გათვალისწინებული მოსკოვის საზღვაო ძალები შავ და კასპიის ზღვებზე. არადა ამას დიდი მნიშვნელობა ქონდა. კასპიის ზღვის ფლოტი მეტად დიდ როლს ითამაშებდა ბაქოსათვის ბრძოლოს საკითხში, რომელსაც ბოლშევიკები ბოლომდე დაიცავდნენ. ხოლო, შავი ზღვის ფლოტს მარტივად შეეძლო საქართველოს სანაპიროს ბლოკირება და ბათუმისა და ფოთის პორტების, საიდანაც იგეგმებოდა ევროპიდან წამოსული დახმარებისა და პირველ რიგში იარაღისა და საჭურველის შემოტანა, ჩაკეტვა. თუმცა ამ გეგმის დეტალური ანალიზი ამჯერად ჩვენი მიზანი არ არის.

კავკასიაში არსებული პოლიტიკური ვითარების განხილვისას ლეონ ბობიცკი საგანგებოდ აღნიშნავს ანტირუსულ და ანტიბოლშევიკურ განწყობებს საქართველოში, აზერბაიჯანში და ჩრდილოეთ კავკასიაში. ხაზგასმულია, რომ სხვა ვითარებაა სომხეთში. თურქეთისადმი შიშის გამო იქ განსხვავებული ვითარება არსებობდა და რუსოფილური განწყობებიც საკმაოდ ძლიერი იყო. 1922-1924 წლებში დაწერილ ბევრ წერილში, რომელიც ეხება საერთოკავკასიური ანტისაბჭოთა აჯანყების მოწყობას, საუბარია თურქეთის პოზიციის გადამწყვეტ მნიშვნელობაზე. ჩვენს მიერ განხილულ დოკუმენტშიც პოლკოვნიკი ბობიცკი აღნიშნავს, რომ „ერთიანი ფრონტის შექმნის შესაძლებლობა დამოკიდებულია ასევე თურქეთთან შეთანხმებაზე, რაც სამხედრო აღჭურვილობის საკითხთან ერთად გადამწყვეტ მნიშვ-ნელობას იძენს. თურქეთის ნეიტრალიტეტი განსაზღვრავს წარმატების ნახევარს, ხოლო დანარჩენს გააკეთებენ კავკასიის ხალხები, თუნდაც იმ სახელმწიფოების არაპირდაპირი დახმარებით, რომლებსაც არ სურთ დიდი და განუყოფელი რუსეთის აღდგენა“. თურქეთის მინიმუმ ნეიტრალიტეტი უზრუნველყოფდა აჯანყებულთათვის მტკიცე ზურგს. ამავე დროს ეს გააქარწყლებდა სომხეთში არსებულ შიშს თურქეთის მხრიდან შესაძლო აგრესიაზე და ხელს შეუწყობდა ანტირუსული განწყობის ზრდას.

დოკუმენტის ბოლოში პოლონეთის სამხედრო ატაშე აღნიშნავს, რომ სამხედრო და ეკონომიკური ინტერესები მოითხოვენ პოლონეთის ხელისუფლებისგან კავკასიაში აქტიური პოლიტიკის გატარებას და ამატებს „ამ საკითხებს დაუყოვნებლივი მოქმედება სჭირდება, რადგან როდესაც შესაძლებელი გახდება კავკასიაში დიდი ძალებისთვის მუშაობა, პოლონეთი არ აღმოჩნდეს იზოლირებული“.

დოკუმენტი[3]

სამხედრო ატაშე 1 ივლისი 1922 წელი
კონსტანტინოპოლში
გენერალური შტაბის უფროსს[4]
აჯანყებისათვის მზადება კავკასიაში

3 მოგვაქვს დოკუმენტის თარგმანი. ორიგინალი დაწერილია პოლონურ ენაზე

4 იგულისხმება გენერალი ვლადისლავ სიკორსკი (1881-1943) სწავლობდა ლვოვის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. აქტიურად მონაწილეობდა პოლონური ორგანიზაციების შექმნასა და საქმიანობაში. 1918 წლიდან პოლონეთის რესპუბლიკის არმიაშია. 1920 წელს საბჭოთა რუსეთთან ომის დროს მეთაურობდა

კავკასიის რესპუბლიკების ანტიბოლშევიკური ძალები, ქართული არმიის გენერალური შტაბის უფროსისგან[5] მიღებული ინფორმაციის თანახმად, შემდეგნაირად უნდა ვიანგარიშოთ.

ა) საქართველოს რესპუბლიკა. საიდუმლო სამხედრო ორგანიზაცია, რომლის დაქვემდებარებაშიც არის ყოფილი სახალხო გვარდიისა და ჯარის საუკეთესო დემობილიზებულ ქვედანაყოფები - შედგება 25 ოპერატიული ჯგუფისაგან, რომელთა პირადი შემადგენლობის რიცხობრივად შეესაბამება ბატალიონისას (500-750 მებრძოლი), რაც ამჟამად 15-16 ათასამდე შეიარაღებულ პირს გულისხმობს.

ბ) საქართველოს წითელი არმია, რომლის ყველა ქვედანაყოფში არის ეროვნული[6] ცენტრები, 5-6 ათასი ადამიანი ითვლის და ასევე გააჩნია არტილერია და ჯავშანმანქანები.

გ) წითელი მილიცია, რომელიც ორგანიზებულია აჯანყებისათვის, მისი შემადგენლობის 60-დან 85% -მდე ანტიბოლშევიკურად არის განწყობილი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სამხედრო ხელმძღვანელობა თვლის, რომ ამ ეტაპზე, პირველივე მოწოდებისას საქართველოს ტერიტორიაზე იარაღის ქვეშ კომპაქტურად ორგანიზებულ ჯგუფებში 22-25 ათასი ადამიანი დადგება. ამავე დროს ორგანიზაცია ვარაუდობს, რომ მოქმედების დაწყებიდან ერთი კვირაში, დახმარების სახით გათვალისწინებული იარაღის მიღების შემთხვევაში, გააორმაგებს

ჯერ მე-9 დივიზიას, ხოლო ვარშავასთან ბრძოლისას (სასწაული ვისლაზე) მე-5 არმიას. 1921 წელს დაინიშნა პოლონეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსად. სხვადასხვა დროს იყო: მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე (1922 დეკემბერი - 1923 ივნისი), სამხედრო მინისტრი (1924-1925), ლვოვის სამხედრო ოლქის სარდალი (1925-1928). 1928-1938 წლებში ცხოვრობდა საფრანგეთში. 1938 წელს დაბრუნდა პოლონეთში. 1939 წლის 30 სექტემბერს გახდა პოლონეთის ემიგრაციული მთავრობის თავმჯდომარე. დაიღუპა ავიაკატასტროფაში.

5 იგულისხმება გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე. ალექსანდრე ზაქარიაძე (1884-1957) იყო რუსეთ-იაპონიისა და პირველი მსოფლიო ომების მონაწილე. 1917 წლის თებერვლიდან ასრულებდა მსროლელი ბრიგადის შტაბის უფროსის მოვალეობას. 1917 წლის ნოემბერში, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, იყო ეროვნული საბჭოს სამხედრო სექციის ხელმძღვანელი. 1918 წლის დასაწყისში ქართული კორპუსის შტაბის უფროსია. შემდეგ მუშაობდა საქართველოს შეარაღებული ძალების გენერალური შტაბში. 1919 წელს მიენიჭა გენერლის წოდება და დაინიშნა გენერალური შტაბის უფროსად. ამ თანამდებობაზე იყო საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამდე. 1921 წელს, ემიგრაციაში წასვლის შემდეგ, მცირე ხანს იმყოფებოდა სტამბულში, საიდანაც გადავიდა პოლონეთში. დაამთავრა პოლონეთის უმაღლესი სამხედრო სკოლა. 1923 წლიდან პოლონეთის არმიის ბრიგადის გენერალია. 1927 წელს მიენიჭა დივიზიის გენერლობა. 1939 წელს ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს, თუმცა მალევე გაათავისუფლეს. მეორე მსოფლიო ომის დასასრულს საცხოვრებლად გადავიდა საფრანგეთში. იყო პარიზის ქართული სათვისტომოს წევრი.

6 იგულისხმება საიდუმლო სამხედრო ორგანიზაცია

თავის შემადგენლობას.

ბ) აზერბაიჯანის რესპუბლიკა - აჯანყებაში მონაწილე ძალები ანალოგიურია საქართველოსი. გაანგარიშებით საუბარია 12 ათას შეიარაღებულ ადამიანზე.

გ) სომხეთის რესპუბლიკა - იგივე გაანგარიშებით 15 ათასი ადამიანი.

დ) მთის რესპუბლიკა - იგივე გაანგარიშებით 15 ათასი ადამიანი.

ამ გზით, კავკასიის ოთხ რესპუბლიკას ერთიანი მოქმედებისას კავკასიის ცალკეულ არმიას შეუძლია დაუპირისპიროს 50 000-მდე შეიარაღებული ადამიანი .

კავკასიის ცალკეული არმიის რიცხოვნება 1922 წლის მარტისთვის ასეთია:

ხელმძღვანელობა - 3331

წითელარმიელები - 36630

ტყვიამფრქვევები - 534

ქვემეხები - 104

იმის გათვალისწინებით, რომ მიღებულია დემობილიზაციის გადაწყვეტილება არმიის რაოდენობა შემცირდება 14000 მეომრით. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე საკვების უკმარისობა და წითელი არმიის დაბალი მორალური მდგომარეობა. აჯანყებულთა ხელმძღვანელობა თვლის, რომ თურქეთის ნეიტრალიტეტის გარანტიის შემთხვევაში, რაც აუცილებელი პირობაა, გააჩნია მოქმედებისათვის საკმარისი ძალები.

კავკასიის ცალკეული არმიის წინააღმდეგ მოქმედება განისაზღვრება 2 კვირით, რომლის განმავლობაშიც აჯანყებულები იმედოვნებენ მიიღონ 60.000 კარაბინი და დაახლოებით 100 ქვემეხი. ითვალისწინებენ იარაღის ცუდ მდგომარეობას, მაგრამ თვლიან რომ გამოდგება ქვეყნის პირველადი თავდაცვისათვის.

ამ გზით და იმ იარაღთან ერთად, რომელსაც ამჟამად აჯანყების ორგანიზატორებს აქვთ, შესაძლებელი იქნება 100.000 არმიის შეიარაღება, რომელსაც შეეძლებათ თავდაცვა, სანამ უფრო დიდი შეიარაღებული ძალების კონცენტრაცია მოხდება, რომლებსაც სპეციალურად გადმოისვრიან ცენტრალურ რუსეთიდან ან პოლონეთ-რუმინეთის საზღვრიდან. ამ ძალების გადმოსროლას სატრანსპორტო საშუალებებისა და მათ წინააღმდეგ კაზაკების მოქმედებების გათვალისწინებით - დასჭირდება არანაკლებ 2-3 თვე, რადგან აჯანყების ჩახშობისთვის განკუთვნილი საბჭოთა ძალების რაოდენობა ალბათ იქნება არანაკლებ 250 000 ადამიანისა.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს დრო გამოყენებული უნდა იყოს კავკასიის შეიარაღებული ძალების ორგანიზებისათვის. რადგან წარმატება დამოკიდებულია როგორც ადგილობრივი ძალების ორგანიზებაზე, ასევე საზღვარგარეთიდან 300.000 ადამიანისათვის საჭირო იარაღის დროულ მიწოდებაზე.

ამ დახმარების მიწოდებასთან დაკავშირებით იგულისხმება საფრანგეთი და ნაწილობრივ პოლონეთი.

კავკასიის 10 მილიონიანი მოსახლეობისა და I powolaniu pod bron 15 rocznikow, შემთხვევაში კავკასიის რესპუბლიკების არმიები შემდეგი

რაოდენობით წარმოგვიდგება:

საქართველო - 150.000 ადამიანი

სომხეთი - 75.000

აზერბაიჯანი - 40.000

მთიელთა რესპუბლიკა - 20.000

სულ 285.000 ადამიანი

ამრიგად, ბოლშევიკური უღლისგან კავკასიის განთავისუფლების მთავარი სიმძიმე მდგომარეობს არა კავკასიის ცალკეული არმიის განიარაღებაში, არამედ კავკასიის რესპუბლიკების შეიარაღებული ძალებისთვის უცხოური დახმარების მიწოდებაში და დიპლომატიური საქმიანობაში რომელიც თურქეთის ნეიტრალიტეტს უზრუნველყოფს.

რაც შეეხება ზემოხსენებული რესპუბლიკების მოსახლეობის განწყობას, ისინი შემდეგნაირად უნდა განისაზღვროს:

ა) საქართველო - ხალხი განწყობილია ანტირუსულად და ანტიბოლშევიკურად. ამ საკითხში სრულ სოლიდარობას ადასტურებს ადგილზე საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის შექმნა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელებია, გარდა ერთი მუჭა კომუნისტებისა.

ბ) აზერბაიჯანი - ბაქო და მოსახლეობა მტრულადაა განწყობილი ბოლშევიკების მიმართ. ამ ბოლო დროს, შეიძლება ითქვას, რომ შემცირდა თურქოფილური განწყობები, რადგან თვლიან რომ თურქებმა, ხელი შეუწყეს ბოლშევიკების მიერ აზერბაიჯანის ოკუპაციას. ბუნებრივია, რომ ბაქოში არსებული განწყობა განსხვავებულია. აქ ცხოვრობს ბევრი საბჭოთა მოხელე და ზოგადად რუსი, რაც ქალაქს რუსულ იერს (ხასიათს) აძლევს.

გ) კავკასიის მთიანეთი და განსაკუთრებით დაღესტანი, სადაც პარტიზანები მუდმივად ებრძვიან ბოლშევიკებს საუკეთესოდ აღწერენ იქ არსებულ ანტიბოლშევიკურ განწყობას.

დ) სომხეთი - განწყობის თვალსაზრისით აქ სიფრთხილეა საჭირო, რადგან ეს განწყობა დამოკიდებულია თურქეთის ურთიერთობებზე კავკასიის ქვეყნებთან.

სომხეთი მუდმივი საფრთხის ქვეშ ცხოვრობს და რაც უფრო დიდა ეს საფრთხე მით უფრო მიიწევს რუსეთისკენ. თუ თურქეთი დაიკავებს ისეთ პოზიციას კავკასიის ქვეყნების მიმართ, გამოირიცხება სომხეთის ოკუპაციის საფრთხე შეიძლება ველოდეთ, რომ სომხები გააქტიურდებინა და იქნებიან კავკასიის დანარჩენ ხალხებთან ერთად. ამის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ სომეხი ტერორისტების აქცია ბოლშევიკების წინააღმდეგ ერევანში, ნახიჩევანსა და კარანლისში[7].

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ერთიანი ფრონტის შექმნის შესაძლებლობა დამოკიდებულია ასევე თურქეთთან შეთანხმებაზე, რაც სამხედრო აღჭურვილობის საკითხთან ერთად გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს.

7 სავარაუდოდ აქ იგულისხმება კარაკლისი, დღევანდელი ქალაქი ვანაძორი სომხეთში.

თურქეთის ნეიტრალიტეტი განსაზღვრავს წარმატების ნახევარს, ხოლო დანარჩენს გაკეთებენ კავკასიის ხალხების, თუნდაც იმ სახელმწიფოების არაპირდაპირი დახმარებით, რომლებსაც არ სურთ დიდი და განუყოფელი რუსეთის აღდგენა.

სამხედრო მოქმედებებს ხელმძღვანელობენ

ა) პარიზში პოლიტიკურ-სამხედროს:

საქართველოს სამხედრო წარმომადგენელი - გენერალი თავადი. ერისთოვი[8] (ks. Eristow)

აზერბაიჯანს სამხედრო წარმომადგენელი - გენერალი შიხლინსკი (Szichlinski)[9] (ამჟამად არის კონსტანტინოპოლში).

სომხეთის სამხედრო წარმომადგენელი - გენერალი კარჰანოვი (Karhanow)[10].

მთიელთა რესპუბლიკის - ჩოკანდოკოვი (Chokandokow)

ბ) უშუალოდ კონსტანტინოპოლში:

ქართული გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ზაქარიაძე (Zachariadze).

---

8 იყო ორი გენერალი ერისთავი, ძმები ალექსანდრე და გიორგი (გიგუშა). სავარაუდოდ აქ ალექსანდრე უნდა იგულისხმებოდეს, რომელსაც გაცილებით დიდი სამხედრო გამოცდილება ჰქონდა ვიდრე მის უმცროს ძმას. ერისთავი ალექსანდრე (1873-1955). პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1914 წელს კავალერგარდთა პოლკის უფროსი. 1915 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორობა, ხოლო 1917 წელს - გენერალ-ლეიტენანტობა. იმპერატორის ამალის წევრი. 1916 წელს ბრიგადის მეთაური. 1917 წელს კავკასიის მე-3 კორპუსის უფროსი. 1918 წლიდან ქართულ ჯარშია. იყო ანკარაში გაგზავნილი დიპლომატიური მისიის წევრი. 1921 წელს საცხოვრებლად გადავიდა საფრანგეთში.

9 გენერალი ალი-აღა შიხლინსკი (1863-1943) დაამთავრა სანკტ-პეტერ-ბურგის საარტილერიო სასწავლებელი. რუსეთ-იაპონიისა და პირველი მსოფ-ლიო ომების მონაწილე. 1913 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორობა, ხოლო 1917 წელს - გენერალ-ლეიტენანტობა. 1917 წელს ჩამოვიდა თბილისში და დაევალა მუსლიმური (აზერბაიჯანული) კორპუსის ჩამოყალიბება. 1918-1920 წლებში მსახურობდა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თანამშ-რომლობდა ახალ ხელისუფლებასთან. 1929 წელს გავიდა თადარიგში (русская армия в великой войне, http://www.grwar.ru/persons/person/545).

10 გენერალი გაბრიელ ყორღანოვი (1880-1954). დაწყებითი სამხედრო განათლება მიიღო ტფილისი კადეტთა კორპუსში. დამთავრა გენერალური შტაბის ნიკოლოზის სახელობის აკადემია. 1914 წელს მიენიჭა პოლკოვნიკობა. მონაწილეობდა კავკასიის ფრონტზე მიმდინარე სამხედრო ოპერაციებში. 1917 წლის ოქტომბერში დაინიშნა კავკასიის ფრონტის შტაბის მორიგე გენერლად და ნოემბერში მიენიჭა გენერალ-მაიორობა. 1919 წელს იყო პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მყოფი სომხური დელეგაციის სამხედრო მრჩეველი. დარჩა ემიგრაციაში საფრანგეთში. გარდაიცვალა პარიზში. (русская армия в великой войне, http://www.grwar.ru/persons/person/3287)

ვაგზავნი რა ზემოაღნიშნული ინფორმაციის გენერალურ შტაბში ვფიქრობ, როგორც ამას ადრე ვიუწყებოდი, რომ პოლონეთის სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის შესაძლებლობების ფარგლებში უნდა გავუწიოთ შემდეგი სახის დახმარება:

1) დიპლომატიური მოქმედება კავკასიის ქვეყნებისა და თურქეთის შეთანხმებისათვის.

2) სამხედრო მოქმედება, რომელიც მიმართულია:

ა) კავკასიის მომავალი არმიებისათვის ოფიცრებისა და [სხვა] კადრების მომზადება, ამ ქვეყნის სამხედრო ორგანიზაციის საკუთარი ხელში აღება.

ბ) შესაძლებლობის ფარგლებში დახმარების გაწევა იარაღის მიწოდებით. ამუნიცია და რუკები.

კავკასიის სახელმწიფოებისადმი პოლონეთის დაინტერესების შენარჩუნებისა და იარაღისა და ამუნიციის მიწოდების გამო, პოლონეთისთვის მატერიალური კომპენსაციის მიზნით, ქართველმა მინისტრმა გვარჯალაძემ (Gwardzaladze)[11], თავისი მთავრობის სახელით, ჩვენს ელჩს, ბატონ ბარანოვსკის, შესთავაზა დაუყოვნებლივ მიანიჭოს პოლონეთს ყველა სახის ეკონომიკური კონცესიები კავკასიაში.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე გარდა პოლიტიკურ სამხედრო ინტერესებისა, ეკონომიკური ინტერესებიც გვკარნახობს ვაწარმოოთ კავკასიაში აქტიური პოლიტიკა.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ ამ საკითხებს დაუყოვ-ნებლივი მოქმედება სჭირდება, რადგან როდესაც შესაძლებელი გახდება კავკასიაში დიდი ძალებისთვის მუშაობა, პოლონეთი არ აღმოჩნდეს იზოლირებული, როგორც ეს მოხდა ანგორასთან[12] კონტაქტის დამყარების საქმეში.

ბობიცკი
გენერალური შტაბის პოლკოვნიკი
სამხედრო ატაშე კონსტანტინოპოლში

---

11 იგულისხმება კონსტანტინე გვარჯალაძე (1883-1969). ქართველი სო-ციალ-დემოკრატი. უმაღლესი სამედიცინო განათლება ჟენევის უნივერსიტეტში მიიღო. 1917 წლის ნოემბრიდან შედიოდა საქართველოს ეროვნული საბ-ჭოს შემადგენლობაში. 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. 1918 წელსვე დაინიშნა საგარეო საქმეთა მინისტრი მოადგილედ. 1919-1921 წლებში ჩართული იყო ევროპაში გაგზავნილ საქართ-ველოს დიპლომატიური დელეგაციების მუშაობაში. 1919 წელს აირჩიეს დამფუძ-ნებელი კრების წევრად. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდგომ მუშაობას განაგრძობდა ევროპაში, გარკვეული პერიოდი საქმიანობდა სტამბულში. 1920-იან წლებში იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი საერთაშორისო სოციალისტურ ინტერნაციონალში. ემიგრაციაში მისი რედაქტორობით გამოდიოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამოცემები. გარდაიცვალა საფრანგეთში.

12 იგულისხმება მუსტაფა ქემალის ხელისუფლება, რომლიც იმ დროს ქალაქ ანგორაში (ანკარაში) იმყოფებოდა.

დასკვნა

კიდევ ერთხელ დასტურდება თუ რა აქტიური კონტაქტები ქონდათ კონსტანტინოპოლში ქართველ პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეებს პოლონელ დიპლომატებთან. დგინდება, რომ ქართველები პოლონელებს სრულიად ენდობოდნენ და თავისუფლად აწვდიდნენ საიდუმლო ინფორმაციასაც კი. პოლონეთის სამხედრო ატაშე და მისი მეშვეობით პოლონეთის უმაღლესი სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობა კარგად იყო ინფორმირებული კავკასიაში და კონკრეტულად საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. პოლონეთის ხელისუფლება საკმაო ინტერესს იჩენდა საქართველოსა და აქ მიმდინარე მოვლენებისადმი.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

Libera, P. (2013). *I Rzeczpospolita wobec ruchu prometejskogo.* Warszawa.

Majzner, R. (2014). *Attachaty wojskowe Drugiej Rzeczypospolitej 1919-1945.* Częstochowa.

Peplonski, A. (2010). *Wywiad Polski na ZSRR 1921-1939.* Warszawa.

vadachkoria, sh. (2016). ori umnishvnelowanesi dokumenti sabchota rusetis saokupacio jarebisgan kavkasiis gantavisuflebis shesacheb. *1924 wlis agvistos erovnuli akanyebis 90-e wlistavi.* parizi-tbilisi (ვადაჭკორია, შ. (2016). ორი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ჯარებისგან კავკასიის განთავისუფლების შესახებ. *1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი.* პარიზი-თბილისი).

vadachkoria, sh. (2018). *qartuli emigracia da erovnul-ganmatavisuflebeli modzraoba saqartveloshi (1921-1990).* tsgni I. Tbilisisi. (ვადაჭკორია, შ. (2018). *ქართული ემიგრაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში (1921-1990).* წიგნი I. თბილისი).

ინტერნეტრესურსები

http://www.grwar.ru/persons/person/, русская армия в великой войне.